

ახალი წიგნები / New Books

კულტურული გადაკვეთები შოთა რუსთაველისა და ნიზამი განჯელის შემოქმედებაში

Identifying Cultural Intersections in the Works of Shota Rustaveli and Nizami Ganjavi

რედაქტორები: მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი
Cambridge Scholars Publishing: 2023



წიგნი არის ინგლისურენოვანი გამოცემა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილი ნაშრომისა, რომელშიც განხილულია, ერთი მხრივ, შოთა რუსთაველისა და ნიზამი განჯელის შემოქმედების ძირეული პრობლემები, მათი თანხვედრის ტიპოლოგიური არსი, მეორე მხრივ, ის ისტორიულ-კულტურული თუ ლიტერატურულ-ესთეტიკური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მათ შორის განსხვავებას.

წიგნი შედგება 6 თავისაგან: რუსთაველი და ნიზამი – საკითხის შესწავლა ისტორიულ კრილში; რუსთაველი – გზა რენესანსისაკენ; ნიზამი – პოეტი და მოაზროვნე; რუსთაველისა და ნიზამის ესთეტიკური შეხედულებები; რუსთაველისა და ნიზამის ფილოსოფიური შეხედულებები; რუსთაველისა და ნიზამის ეთიკური კონცეფცია.

ლიტერატურული ჟანრები. I.

რედაქტორები: ირმა რატიანი, გაგა ლომიძე

თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის

გამომცემლობა: 2023



წიგნი მომზადდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილებისა და თსუ თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე და მოიცავს ნაშრომებს ლიტერატურული ჟანრების შესახებ. ეს არის პირველი წიგნი, რომელშიც თავმოყრილია წერილები ეპოსსა და დიდ ეპიკურ ჟანრებზე. **პირველი ნაწილი – ეპოსი და ეპიკური ჟანრები** (ანტიკური ეპოსი, ანტიკური რომანი, შუა საუკუნეების რაინდული რომანი, პიკარესკული რომანი, ბაროკოს ეპოქის რომანი, სენტიმენტალური რომანი, რეალისტური რომანი, ლიტერატურული ანტიუტოპია და ანტიუტოპიური რომანი, მოდერნისტული რომანი, პოსტმოდერნისტული რომანი, საოჯახო რომანი/საგა, ავტობიოგრაფიული რომანი); **მეორე ნაწილი – დრამა და დრამატული ჟანრები** (დრამის შესახებ. ტრაგედია – უძველესი დრამატული ჟანრი. კომედიის დაბადება. ჟან ბატისტ მოლიერი – კომედიის მეტრი და ქართული კომედიის ფორმირება, აბსურდის დრამა). **დამატება. გზამკვლევი კლასიკურ ლიტერატურაში** (ანა პუჩაო დე ლესია. ვისენტე პერეც დე ლიონი. დონ კიხოტი. *პირველი თანამედროვე რომანი და ერთ-ერთი საუკეთესო*).


წიგნი განსაზღვრულია ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.

თეიმურაზ დოიაშვილი
ვარდი ნაწვიმარ სილაში. წერილები გალაკტიონზე
რედაქტორი ნათია სიხარულიძე
თბილისი: „ინტელექტი“, 2023



წიგნი აერთიანებს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ დაწერილ გამოკვლევებს, სტატიებსა და ესეებს, რომლებშიც გალაკტიონის პოეზიისა და ცხოვრების არაერთი საიდუმლოა გაცხადებული. ირკვევა, რომ პოეტის პირველი კრებული (1914) მითოპოეტური სიუჟეტის მქონე რომანია ლექსებად; „მე და ღამე“ – რეალური მისტიკური განცდის ანარეკლი, ხოლო „ვარდი სილაში“ – დაპირისპირებულ საწყისთა ღვთაებრივი სინთეზის სიმბოლო. თურმე თებერვლის საბედისწერო დღეებში გალაკტიონი სამშობლოს დამოუკიდებლობას ედგა დარაჯად; ოციან წლებში დააარსა თავისუფალი ლიტერატურული ჯგუფი „ირმიგალი“... საბურველი ჩამოეცალა ამაღლებული სიყვარულის ფსევდო-ლეგენდას, რომელიც ბოლო დრომდე მალავდა პოეტის პიროვნულ დრამას. გალაკტიონის შემოქმედების კვლევა ცხადყოფს, თუ როგორ დაუდო სათავე ეპოქალურმა კრებულმა – „არტისტულმა ყვავილებმა“ (1919) თვისებრივად ახალ პოეტურ აზროვნებას და სალექსო ნოვაციებს; გარდა ამისა, ისიც თვალსაჩინო ხდება, თუ როგორ განსაზღვრა გალაკტიონის ბოლო პერიოდის შემოქმედებამ – რთული სისადავის პოეტიკამ – ქართული პოეზიის შემდგომი განვითარება.

თამარ ბარბაქაძე
ბესიკიდან ბესარიონამდე
რედაქტორი: ირმა რატიანი
თბილისი: „მწიგნობარი“, 2023



წიგნი დაეხმარება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებს, მაგისტრანტებსა და ბაკალავრებს ქართული ლექსის პოეტიკის საკითხების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში. პოეტიკურ კვლევათა არეალი განსაზღვრულია ქართული ლექსის დეკადანსის (ბესიკ გაბაშვილი) შემდეგ ახალი (ნიკოლოზ ბარათაშვილი) და უახლესი (გალაკტიონ ტაბიძე) სალექსო რეფორმაციის ფონზე ქართველ პოეტთა ვერსიფიკაციული პორტრეტებით. აქვე მკითხველი გაეცნობა ცნობილ მკვლევართა (აკაკი ხინთიბიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, როლანდ ბერიძე, მიხეილ ქავთარია) ღვაწლს ქართული ლექს-მცოდნეობის ისტორიაში.

თამარ შარაბიძე. თამარ ციციშვილი
ქართული დრამატურგიის ქრესტომათია.
ნაცნობი და უცნობი ტექსტები
ნაწილი II
რედაქტორები: ნანა გონჯილაშვილი,
მაკა ელბაქიძე
თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი, 2023



ქრესტომათიაში შესულია XIX საუკუნის I ნახევრის ქართველ მწერალ-დრამატურგთა (ივანე კერესელიძე, ბარბარე ჯორჯაძე, ლავრენტი არდაზიანი, რაფიელ ერისთავი, გიორგი დვანაძე, ალექ-


სანდრე მეიფარიანი, გიორგი ჯაფარიძე) შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი, დრამატურგთა ბიოგრაფიები და პიესათა მოკლე ანალიზი. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ის რედაქტორული შესწორებანი, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა გამოცემიდან აღებულ ტექსტებში და მოძიებულ ხელნაწერებში, აგრეთვე – ავტორთა ენობრივ თავისებურებათა მოკლე ანალიზიც. წიგნი განკუთვნილია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებისთვის, აგრეთვე ქართული დრამატურგიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

მერაბ ლაღანიძე
ევროპის შუაგულში საუკუნეთა ზღვარზე:
100 ჩანაწერი კულტურის, რელიგიისა
და სამოქალაქო ცხოვრების ირგვლივ
თბილისი: ქრისტიანული თეოლოგიისა
და კულტურის ცენტრი, 2022




კრებული მოიცავს ტექსტებს, რომლებიც სხვადასხვა დროსაა დაწერილი და რომლებშიც ევროპული თვალსაწიერიდან ასახულია ავტორისეული დამოკიდებულება (ხშირად – სუბიექტურიც) რელიგიის, კულტურის, ფილოსოფიის, პოლიტიკური და საჯარო-სამოქალაქო ცხოვრების მიმართ. ბუნებრივია, წიგნში ასახულია ლიტერატურული გარემოც და ლიტერატორთა ცხოვრებაც, მათ შორისაა: აკაკი წერეთელი თუ გიორგი ჭალადიდელი, ვაჟა-ფშაველა თუ კიტა აბაშიძე, ასევე, ლიტერატურის მკვლევარნი და შემსწავლელნი.

დათო ბარბაქაძე
ფილოსოფიასა და პოეზიას შორის დიალოგის
გერმანულენოვანი გამოცდილება
თბილისი: „მერწყული“, 2023



წიგნში წარმოდგენილია მე-20 საუკუნის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი ურთულესი ფენომენის – კლასიკური მოდერნიზმის პოეზიის – ფილოსოფიური და თეორიული საწყისების ანალიზი. მართალია, ძირითადი აქცენტი კეთდება გასული საუკუნის პირველი მეოთხედის ავსტრიულ ლირიკაზე და ფილოსოფიასთან მისი ურთიერთობის ფორმებზე, მაგრამ განზოგადების სპექტრი ბევრად უფრო ფართოა და იგი მოიცავს საერთოდ გერმანულენოვანი პოეზიის პოეტიკურ და მსოფლმხედველობრივ საყრდენებს.

იოსებ გრიშაშვილი
ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა)
მეორე, სკანირებული ტიპის გამოცემა
ლექსიკონი გამოსაცემად მოამზადა
რუსუდან კუსრაშვილმა
მეორე გამოცემის რედაქტორი: მაია არველაძე
თბილისი: „მერიდიანი“, 2023



ქალაქური ლექსიკონი პირველად 1997 წელს გამოიცა. მართალია, მასზე მუშაობა გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ტექსტოლოგმა რუსუდან კუსრაშვილმა, მაგრამ გარკვეული მიზეზების

გამო წიგნი მხოლოდ 90-იანების ბოლოს დაიბეჭდა. ლექსიკონში შესულია იოსებ გრიშაშვილის პირად არქივში დაცული მასალები – ძველი თბილისის მრავალფეროვანი ლექსიკა (ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული და ფოლკლორული ხასიათისა), რომელსაც პოეტი ოცდაათი წლის განმავლობაში აგროვებდა. ნაშრომში ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით (როგორც ერთი კონკრეტული ქალაქის ლექსიკონი) უნიკალურია და ერთადერთი. შესაბამისად, მასზე მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ამჯერად დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ახალ, სკანირებული ტიპის გამოცემას, რომელიც შეიცავს მრავალფეროვან მასალას თბილისის ისტორიული წარსულის აღსადგენად.

სჯანი

**ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი
ლიტერატურის თეორიასა და შედარებით
ლიტერატურათმცოდნეობაში, 24
რედაქტორი: ირმა რატიანი
თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2023**



ჟურნალ „სჯანის“ 24-ე ნომერი ტრადიციულად ეთმობა თანამედროვე სამეცნიერო კვლევებს ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის მიმართულებით. მასში ქართველი მეცნიერების გვერდით წარმოდგენილი არიან ავტორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ბულგარეთი, თურქეთი, სლოვენია, გერმანია, კორეა), რაც ღია კულტურული დიალოგის წარმოების საუკეთესო საშუალებაა. ჟურნალში მასალა დალაგებულია შემდეგი რუბრიკების მიხედვით: პოზიცია, ლიტერატურის თეორიის პრობლემები, პოეტიკური პრაქტიკები, ლექსმცოდნეობა, ფილოლოგიური ძიებანი, ინტერპრეტაცია, კრიტიკული დისკურსი, ფოლკლორისტიკა – თანამედროვე კვლევები, დებიუტი, ახალი წიგნე-

ბი. პირველად არის წარმოდგენილი რუბრიკა ლიტერატურა და თანამედროვე ტექნოლოგიები. რუბრიკაში ლიტერატურისმცოდნეობის ქრესტომათია იბეჭდება მირჩა ელიადეს წერილი „მითების სტრუქტურა“. რუბრიკა გამოხმაურება, რეცენზია ეთმობა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ მომზადებულ კრებულს “ლიტერატურის ჟანრები“, წიგნი I (რეცენზენტი ლევან გელაშვილი).

„კრიტიკა“ N18

რედაქტორი: მანანა კვაჭანტირაძე

თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის

გამომცემლობა, 2023



ჟურნალ „კრიტიკის“ მე-18 ნომერი ჩვეულებრივ ეთმობა თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების (კინოს, თეატრის, მხატვრობის, მუსიკის) წარმოჩენას, ასევე ეხმაურება წლის მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენებსა და თარიღებს. წლევიანდელ ნომერში დაბეჭდილი სტატიები ეძღვნება თანამედროვე ქართველ მწერლებს: ელა გოჩიაშვილს, ირაკლი სამსონაძეს, ლალი გულისაშვილს, ლელა ცუცქერიძეს, ბაჩანა ბრეგვაძეს, ნოდარ მაჭარაშვილს, ვანო ჩხიკვაძეს, ბესო ხვედელიძეს. კულტურისა და ხელოვნების რუბრიკები მკითხველს სთავაზობს ლელა იაკობაშვილი-ფირალიშვილის, ლელა ოჩიაურისა და ლევან გელაშვილის კულტუროლოგიური ხასიათის წერილებს. ჟურნალმა გასულ წელს დაიწყო და კვლავ აგრძელებს საბავშვო ლიტერატურისადმი მიძღვნილი სტატიების ბეჭდვას, სადაც ამჯერად ნაირა გელაშვილის ზღაპრებს განიხილავს მარიამ გიორგაშვილი. მრავალფეროვანია წლევიანდელი საიუბილეო მიძღვნილი ნაწილი, სადაც დაბეჭდილია პავლე ინგოროყვას 130, გურამ ასათიანის 90, აკაკი ბაქრაძის 95, ოტია პაჭკორიას 95, ოთარ ჭილაძის 90, ერლომ


ახვლედიანის 90 და ნოდარ დუმბაძის 95 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიები. ნომრის სტუმარია მხატვარი ლევან ლალიძე, რომელთან ინტერვიუსაც უძღვება მირანდა ტყემელაშვილი. „კრიტიკის“ ახალ ნომერში ასევე მოთავსებულია თარგმანები, რომლებიც თარგმნეს და დასაბეჭდად მოამზადეს მანანა კვატაიამ და ქეთევან ჯიშიაშვილმა.

ლექსმცოდნეობა XV

რედაქტორი: თამარ ბარბაქაძე

თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის

გამომცემლობა, 2023



2023 წლის 28-29 ივნისს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა ოთარ ჭილაძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის XVI სამეცნიერო სესია, რომლის მასალებიც შესულია სამეცნიერო კრებულ ლექსმცოდნეობის XV ტომში. კრებული აერთიანებს: თამარ ბარბაქაძის, გაია არგანაშვილის, დალილა ბედიანიძის, ხათუნა გოგიას, ნინო გოგიაშვილის, ნინო დარბაისელის, თეიმურაზ დოიაშვილის, ქეთევან ენუქიძის, თამაზ ვასაძის, ნინო ვახანიას, თინათო თევზაძის, რუსუდან თურმავას, ემზარ კვიციანიშვილის, გოჩა კუჭუხიძის, ირინა მანიჟაშვილის, ეკა მაჭარაშვილის, მურად მთვარელიძის, ნიკოლოზ სანებლიძის, ზეინაბ სარიას, ლუარა სორდიას, შორენა ქურთიშვილის, ზოია ცხადაიას, თამარელა წოწორიას, მათა ჯალიაშვილის, მარიკა ჯიქიას, ნუნუ ბალავაძის, ლალი ბარბაქაძის, მარიამ გვირჯიშვილის, თორნიკე გოგნიაშვილის, თორნიკე კანდელაკის, სალომე ლომოურის, ქეთევან სამადაშვილის, ნინო სერვასტიანცის, ქრისტინე სიჭინავას, ლელა ღონღაძის, ნიკოლოზ შაფაქიძის წერილებს.

ირინეოს ლიონელი – შემოკრების შესახებ
მოდღვრების თეოლოგი
(ისტორიული თეოლოგია, 132)
ნაშრომები შეკრიბეს გიომ ბადიმ და მარი შეებმა
პარიზი: „სერფი“, 2022.

**Irénée de Lyon, théologien de l'Unité (Théologie
historique 132).**

**Etudes réunis par Guillaume Bady et Marie Chaieb.
Editions du Cerf, Paris 2022.**



წმინდა ირინეოსი, მცირეაზიელი ბერძენი, რომელიც 177 წელს გახდა ლიონის მეორე ეპისკოპოსი, მთელი სიმძაფრით აყენებს საკითხს ერთიანობის ანუ შემოკრების შესახებ. აღნიშნული საკითხი საფუძვლად უდევს მის ორ ფუნდამენტურ ნაშრომს: „გაცხადება სამოციქულო სწავლებისა“ და „ერესების წინააღმდეგ“ („წვალებათა მიმართ“). ირინეოსისთვის ეკლესიის ერთიანობა არ არის მხოლოდ საძიებელი შედეგი, არამედ ეს არის სულიერი მდგომარეობა, ერთგვარი მეთოდი და დინამიკა. სწორედ ამ კონცეფციას განიხილავს, განმარტავს და კომენტარებს უკეთებს ამ წიგნში 24 თეოლოგი, ეგზეგეტიკოსი, ფილოლოგი და ისტორიკოსი. კრებულში თავმოყრილია რომის გრიგორიანულ უნივერსიტეტში წმინდა ირინეოსის მოძღვრებისადმი მიძღვნილი 2019 წლის სამეცნიერო სესიის და ლიონის კათოლიკური ინსტიტუტის 2020 წლის საერთაშორისო სამეცნიერო კოლოკვიუმის მასალები. ძველი ქართული ხელნაწერების კვლევისა და შედეგების ფართო სამეცნიერო წრეებისათვის გაცნობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბერნარ უტიეს ნაშრომი „ირინეოსი მოულოდნელად: ქართული ციტატები ირინეოსის თხზულებებიდან“, რომელშიც შესწავლილია 7 ციტატის წარმომავლობა და სხვადასხვა წყაროსთან მიმართება. ირინეოს ლიონელის ორი ციტატა თხზულებებიდან „წვალებათა მიმართ“ ჩართულია რჩეული ნაწერების ანტიორიგენულ კრებულში (ქართულად თარგმნილია 1065-1090 წლებში არსენ იყალთოელის მიერ), რომელიც წარმოადგენს დიდი დოგმატიკური კრებულის, „დოგმატიკონის“ ნაწილს. მეორე

ჯგუფი შედგება წმინდა ირინეოსის სახელით გამოქვეყნებული ხუთი ციტატისაგან გელათური ბიბლიის კატენების მიხედვით. როგორც ბერნარ უტიე აღნიშნავს, ეს ფრაგმენტები სინამდვილეში ეკუთვნის იპოლიტე რომაელს. ბერძნულ სამყაროში უძველესი ტრადიცია ირინეოსს მიაკუთვნებდა იპოლიტე რომაელის თხზულებებს. ნაშრომში წარმოდგენილია შვიდივე ციტატის ფრანგული თარგმანი, რომელიც საინტერესო იქნება მეცნიერებისა და ფართო ფრანკოფონი საზოგადოებისათვის.

**Scrinium - პატროლოგიისა და კრიტიკული
ჰაგიოგრაფიის საერთაშორისო სამეცნიერო
ჟურნალი
Scrinium, 2023 – international scholarly journal
of Patrology and Critical Hagiography
Brill:2023**



ჟურნალის ეს ნომერი შეიცავს მასალებს ქრისტიანული აღმო-საველეთის ლიტერატურისა და ეკლესიის ისტორიის შესახებ. ამათგან ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობილი ქართველოლოგის, ბერნარ უტიეს ნაშრომი სათაურით “სინას მთის ქართული ხელნაწერი N88“ (სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილი ახალი ფონდიდან), რომელშიც გაანალიზებულია X საუკუნის ძველი ქართული ლექციონარის ხელნაწერის ფრაგმენტი *editio princeps* და წარმოდგენილია მისი ფრანგული თარგმანი. ფრაგმენტი, რომელიც მოიცავს 1 ფურცელს და მეორე ფურცლის ნაწილს, ავტორმა შეუდარა იერუსალიმური ლიტურგიის ამსახველ სხვა ქართულ და სომხურ ხელნაწერებს. ბერნარ უტიეს მართებული დასკვნით, ამგვარი ფრაგმენტები უდიდეს როლს ასრულებს ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიის, კერძოდ, იერუსალიმური ლიტურგიის ევოლუციის შესწავლისთვის.